ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს.

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ნინო გოგუაძის ანგარიშს 2015 წლის გაწეული საქმიანობის შესახებ.

პატივისცემით,

ნინო გოგუაძე

ქ.თბილისის საკრებულოს ფრაქცია

,,ქართული ოცნება-კონსერვატორების''

თავმჯდომარე

დანართი 2. (სულ 20 ფურცელი)

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცლია რაოდენობა 20 ფურცელი

№ 10/18500 28.10.15 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ნინო გოგუაძის

ანგარიში 2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში შედგენილია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ნინო გოგუაძე - საკრებულოს წევრი, გლდანის ლუწი მიკრო რაიონების მაჟორიტარი წევრი. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ თავმჯდომარე, საკრებულოს იურიდიული საკითხთა კომისიის და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისის წევრი.

1. ზოგადი ინფორმაცია საკრებულოს სხდომებში, კომისიებსა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ.

ნინო გოგუაძემ მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 13 სხდომაში, 101 დადგენილების და 380 განკარგულების განხილვის, შესწორების და სხდომაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ნინო გოგუაძე დაესწრო ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის 7 სხდომას. განიხილა და შეისწავლა კომისიაში შემოსული საკითხები. საკითხების ირგვლივ არსებულ შეკითხვებთან დაკავშირებით შეხვდა მერიის შესაბამისი სამსახურებისა და მერიის დაქვემდებარებაში არსებული არაკომერციული იურიდიული პირების წარმომადგენლებს. მოახდინა კომისიისთვის წარმოდგენილი ინიციატივების დამუშავება, შესწორება და კომისიის თავმჯდომარესთან და სხვა წევრებთან ერთად დოკუმენტების მომზადება საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

ნინო გოგუაძემ მონაწილეობა მიიღო იურიდიული კომისიის 8 სხდომაში. განიხილა და შეისწავლა 63 საკითხი. სადაო იურიდიულ საკითხებთან

დაკავშირებით კონსულტაციები გამართა მერიის შესაბამის სამსახურებთან. დაამუშავა და მოამზადა კომისიისთვის წარმოდგენილი საკითხები საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ნინო გოგუაძემ ჩაატარა ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ 15 სხდომა. ყოველი სხდომისას, ფარაქციის წევრები განიხილავდნენ საკრებულოში მიმდინარე საკითხებს, ამზადებდნენ ფრაქციის პოზიციებს, შენიშვნებსა და ინიციატივებს შესაბამის კომისიებში წარსადგენად. ფრაქციის თავმჯდომარის - ნინო გოგუაძის ხელმძღვანელობით ფრაქციის მიერ განხილული იქნა 100-მდე საკითხი, რომელთა თაობაზეც ფრაქციის წევრების მიერ ხდებოდა რეაგირება საკრებულოს სხდომების მსვლელობისას.

ინფორმაცია ნინო გოგუაძის ფრაქცია - „ქართული ოცნება-კონსერვატორებში“ გაწეული საქმიანობის შესახებ. ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ შემადგენლობაში შედის საკრებულოს 3 წევრი. ფრაქციის წევრები თვეში ერთხელ მართავენ ფრაქციის სხდომას საკრებულოში მიმდინარე საკითხებთნ დაკავშირებით. ნინო გოგუაძე წინასწარ ამზადებდა ფრაქციის სხდომაზე განსახილველი საკითხების დღის

წესრიგს, რათა მომხდარიყო ფრაქციის წევრების ინფორმირება სხდომის დაწყებამდე. ფრაქციის თავმჯდომარე და ფრაქციის წევრები წარმოდგენილნი არიან საკრებულოს სხვადასხვა კომისიებში და ფრაქციის სხდომაზე განიხილავდნენ საკრებულოს კომისებში მიმდინარე საკითხებს და აჯერებდნენ საერთო პოზიციებს. ფრაქციის თავმჯდომარე და ფრაქციის წევრები ამზადებდნენ ინიციატივებს კომისიებში და საკრებულოს სხდომებზე წარსადგენად.

მათ შორის,

1. ფრაქციის ინიციატიცით მომზადდა შენიშვნები 2015 წლის ბიუჯეტის შედგენისას, სადაც ფრაქციის წევრების ინიციატივით არაერთი წინადადება იქნა წარდგენილი ქალაქში გზების რეაბილიტაციის, სოციალური მომსახურებების გაუმჯობესების, სოციალურად დაუცველების სოციალური დახმარების საკითხებზე.
2. 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიადის ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ნინო გოგუაძე და ფრაქციის წევრები ყოველდღიურ რეჟიმში იყვნენ ჩართულები, რაც მოიცავდა ოლიმპიადის ბიუჯეტის, ინფრასტრუქტურის დროულად გამართვის,

სტუმართა მიღებისა და თავად ოლიმპიადის ცერემონიალის ორგანიზებაში მონაწილეობის საკითხებს.

3. ნინო გოგუაძე და ფრაქციის წევრები აქტიურად გამოდიოდნენ საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ, მიმდინარე წლის მონაცემების მიხედვით, საბავშვო ბაღები ვერ ახერხებდნენ ყველა მსურველი აღსაზრდელის მიღებას ადგილების შეზღუდული რაოდენობის გამო. ბავშვების გარკვეული რაოდენობა ე.წ. სარეზერვო სიებში იყვნენ გადაყვანილები. აღნიშნული საკითხი არაერთხელ დაისვა ფრაქციის თავმჯდომარის მიერ მერიის შესაბამის სამსახურებთან და ადგილობრივ გამგეობებთან. საბოლოოდ, მერიის მიერ წარმოდგენილი იქნა ინიციატივა დამატებითი ჯგუფების გახსნის შესახებ სკოლების შენობებში. მიუხედავად იმისა რომ აღნიშბულმა სრულად ვერ მოხსნა არსებული პრობლემა, მნიშვნელოვნად შეამსუბუქა საკითხი, ბაღის გარეთ დარჩენილი აღსაზრდელებისთვის.

4. ნინო გოგუაძე და ფრაქციის წევრები ყოველდღიურ რეჟიმში მუშაობდნენ 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის შედეგების აღმოსაფხვრელ სამუშაოებში. ნინო გოგუაძის მიერ განხორციელდა მოხალისეთა ჯგუფის შეკრება 15 მონაწილის შემადგენლობით, რომლებიც

ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებდნენ ქალაქის გაწმენდის სამუშაოებს სვანიძის ქუჩაზე და მზიურის მიმდებარე ტერიტორიაზე. ნინო გოგუაძე და მოხალისეთა ჯგუფი ასევე მონაწილეობდნენ სტიქიის შედეგად საცხოვრებლის გარეშე დარჩენილი მოსახლეობისთვის პირველადი საჭიროების ნივთების მომარაგების პროცესში.

სტიქიის შემდგომ, ივლისის თვეში საკრებულოში მერიის მიერ შემოტანილ იქნა პროექტი სტიქიის შედეგად დაზარალებულთათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენის წესის შესახებ. ნინო გოგუაძე აქტიურად იყო ჩართული წესის შემუშავების პროცესში. მის მიერ წარდგენილი იქნა არაერთი ინიციატივა, რომელიც უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დახმარებას ემსახურებოდა. კერძოდ, ამ ადამიანებისთვის საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესახებ, ერთჯერადი დახმარებების გაცემის შესახებ, საცხოვრებლით უზრუნველყოფამდე მათთვის ბინის ქირით უზრუნველყოფის შესახებ და სხვა. წარმოდგენილი ინიციატივები სრულად იქნა გათავლისწინებული საკრებულოს წევრების მიერ.

5. ფრაქციის წევრების უშუალო მონაწილეობით შემუშავდა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესი.“

ფრაქციის თავმჯდომარეს ექვემდებარება ფრაქციის აპარატი 5 სპეციალისტის შემადგენლობით. ფრაქციის თავმჯდომარე, ფრაქციის აპარატის წევრებთან ერთად ყოველდღიურ რეჟიმში განიხილავს საკრებულოში მიმდინარე საკითხებს. ნინო გოგუაძე ყოველკვარტალურად ითხოვს ინფორმაციას მერიის ყველა სამსახურიდან მათ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ და ისმენს მათ ანგარიშებს. წარადგენს, შენიშვნებს და რეკომედაციებს.

ინფორმაცია ამომრჩევლებთან ურთიერთობის, მათი წერილების წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ.

მოსახლეობასთან კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად, მოქმედებს ნინო გოგუაძის, როგორც საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მუდმივმოქმედი ბიურო, რომელიც 4 თანამშრომლისგან შედგება. ბიურო მთელი წლის მანძილზე მუშაობს ყოველდღიურ რეჟიმში და მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდა ოლქის ამომრჩევლებთან. ბიუროს საქმიანობა მოიცავდა

მოქალაქეების მიღებას დილის 10 საათიდან 18.00 საათამდე. ასევე მათი განცხადებების მიღებას, მათ თემატურად დახარისხებას და რეაგირებას.

ბიუროში მოქალაქეთა მიღებასთან დაკავშირებით. ბიურო შედგება 4 თანამშრომლისგან: ბიუროს უფორსი, იურისტი და ორი სპეციალისტი.

ბიუროს უფროსი, მაჟორიტარის დავალებით, ყოველდრიური რეჟიმში ახორციელებდა მოქალაქეებთან შეხვედრას და მოქალაქეთა საჭიროებების გათვალისწინებით უზრუნველყოფდა შეხვედრების ორგანიზებას მაჟორიტართან. ნინო გოგუაძის შეხვედრა მოსახლეობასთან ხორციელდებოდა ყოველი კვირის ოთხშაბათს. თითოეულ მოქალაქესთან შეხვედრა დგება ინდივიდუალურად. მაჟორიტარის მუშაობის პერიოდში, ბიუროში შემოვიდა ათეულობით განაცხადი. განცხადებების უმრავლესობა სოციალურ საჭიროებებს შეეხება და მოქალაქეები, ძირითადად სოციალური სახის დახმარებებს საჭიროებენ.

მაჟორიტარის მუშაობის შედეგად გამოვლინდა ადგილობრივი მოსახლეობის შემდეგი სახის საჭიროებები:

<u>კანალიზაციის და წყალგაყვანილობის პრობლემასთან დაკავშირებით.</u> პრობლემა ძირითადათ შეეხება გლდანის ლუწი მ/რ კერძო დასახლებეს, როგორიცაა, მებაღიშვილის, მაისურაძის, მარჯანიშვილის, ტიხონოვის,

მორეტის, ხერგიანის, ბარათაშვილის და გულისაშვილის ქუჩები. ამ ქუჩებზე მოსახლეობა ითხოვს კანალიზაციის და წყლის მომარაგების სისტემის გამართვას. აღნიშნულ საკთხთან დაკავშირებით, ნინო გოგუაძემ არაერთხელ მიმართა ადგილობრივ გამგეობას საკითხის შესასწავლად და მოსაწესრიგებლად. როგორც გამგეობის მიერ მაჟორიტარისთვის გამოგზავნილი წერილებით ირკვევა, საკითხი საჭიროებს ,,ჯორჯიან ვოთერ ენდ პაუერთან,, შეთანხმებას, რომელიც ვერ ასახელებს თარიღებს აღნიშნული სამუშაობების შესრულებისათვის. ვინაიდან, ადგილობრივი გამგეობის ჩართულობის მიუხედავად, საკითხი ყოველ ქუჩასთნ მიმართებაში კვლავ გაურკვეველია, ნინო გოგუაძის ინიციატივით საკითხი საკრებულოს მიერ განიხილება.

<u>სოციალური სტატუსის მინიჭებასთნ დაკავშირებით:</u> მაჟორიტარის სახელზე შემოსული განცხადებების დიდი რაოდენობა სოციალური სტატუსის მინიჭების საკითხს შეეხება. მოქალაქეები, ზოგ შემთხვევაში მოხსნილ სტატუსის თაობაზე ჩივიან, ზოგ შემთხვევაში სტატუსის მინიჭებას ითხოვენ. მაჟორიტარის შუამდგომლობით გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრში გაიგზავნა განცხადებები სოციალური აგენტის წარგზავნასთან დაკავშირებით. გაჭიანურებული პროცედურების გამო

მოქლაქეები ხელახლა რეკავდნენ ბიუროში და პროცესის დაჩქარებას ითხოვდნენ. აღნიშნულ პრობლემებზე ისაუბრა ნინო გოგუაძემ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გამართულ შეხვედრაზე ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს წარმომადგენლებთან, რომელიც საკრებულოში კოალიცია ,,ქართული ოცნების,, ინიციატივით გაიმართა. გლდანში არსებული პრობლემები ზუსტად იქნა მიტანილი სამინისტროს წარმოამდენლებამდე. საგულისხმოა, რომ აღნიშნული შეხვედრის შემდეგ, მოქალაქეები ნაკლებად უჩიოდნენ იგივე პრობლემას, რადგანაც მათთვის შედგა აგენტის გაგზავნის გრაფიკი და ცნობილი გახდა აგენტის მისვლის თარიღი.

<u>მედიკამენტების, ოპერაციების დაფინანსებასთან დაკავშირებით:</u> აღნიშნულ საკითხებზე მაჟორიტარს, ძირითადად, პენსიონერები და მრავალშვილიანი ოჯახები მიმართავენ. მედიკამენტებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით შემოვიდა 100 განცხადება. თანხის მოცულობის მიხედვით განცხადებები გაიგზავნა, როგორც მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურში, ასევე გამგეობაში. ორივე უწყების ეფექტური მუშაობის შედეგად ყველა შემთხვევა იქნა დაკმაყოფილებული. მკურნალობისა და ოპერაციის დაფინანსების

შესახებ მ/წ ივლისი-აგვისტო-სექტემბრის თვეში შემოვიდა 7 განცხადება, რომლებიც შუამდგომლობის სახით გადაეგზავნა აგრეთვე თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს. აღსანიშნავია, რომ წარდგენილი განცხადებები დროულად იქნა რეაგირებული და მერიამ აანაზღაურა ყველა ოპერაციის ხარჯი.

<u>საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების შესახებ</u> განცხადებით მოგვმართა 3 მოქალაქემ, რომლებსაც იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსი გააჩნიათ. მათი მოთხოვნების შესაბამისად, შუამდგომლობა გადაეგზავნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს.

<u>დასაქმებასთან დაკავშირებით:</u> ხშირია შემთხვევები, როდესაც მოქალაქეები მაჟორიტარისგან დასაქმებაზე დახმარების გაწევას ითხოვენ, ან სამსახურში აღდგენას. მიუხედავად იმისა, რომ მაჟორიტარს არ გააჩნია რაიმე საკანონმდებლო ბერკეტი აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის, ნინო გოგუაძე ყოველ შემთხვევაზე ადეკვატურ რეაგირებას ახდენდა.

<u>საცხოვრებელი ფართის/მიწის ნაკვეთის/ავტოფარეხის გადაცემის</u> <u>შესახებ</u> ან/და დაკანონების მოთხოვნით შემოსული განცხადებები, რომლებიც

საფუძვლიანად იქნა შესწავლილი და შუამდგომლობის სახით გადაეგზავნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, აგრეთვე, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და ეკონომიკის სამინისტროს. კონსულტაცია გაეწია რამდენიმე მოქალაქეს იმის თაობაზე, თუ რა სახის საბუთებია საჭირო თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში წარსადგენად.

ფართის დაკანონებასთან, მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, სამინოსტორებში და საკრებულოში გაგზავნილი წერილები დაკმაყოფილდა საკრებულოს მიწის საკუთრების შემსწავლელი კომისიის მიერ და ერთ შემთხვევაში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ. რაც შეეხება დანარჩენ შემთხვევებს, სადაც მოქალაქეები საცხოვრებელი ფართის დაკანონებას ითხოვდნენ, კვლავ გადაუწყვეტელი რჩება და დღესაც მიმდინარეობს სამინისტროებთან აღნიშნულის თაობაზე მუშაობა.

<u>სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით</u> მოგვმართა 2 მოქალაქემ. განცხადება გადაგზავნილ იქნა, როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, ასევე მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურში. გარდა ამისა, მოქალაქეს დახმარება გაეწია

წარსადგენი დოკუმენტების მომზადებაში, ასევე თანდასართავი დოკუმენტების გამოთხოვაში.

<u>გლდანის კეთილმოწყობის შესახებ</u> შემოსულია როგორც წერილობითი ასევე ზეპირი განცხადებები შემდეგი მოთხოვნებით: გზის შეკეთება, სარდაფიდან წყლის ამოტუმბვა, ეზოს შემოღობვა, წითელი ზოლების დადგენა, საფეხმავლო ბილიკებისა და სკვერების მოწყობა. თითოეული საკითხი საფუძვლიანად იქნა შესწავლილი, როგორც მინიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან, ასევე გამგებელთან. მათი მონაწილეობით შესრულებული იქნა, რამდენიმე სკვერის მოწყობა გლდანის ლუწ მ/რაიონებში. თუმცა სამუშაოების დიდი ნაწილი კვლავ შეუსრულებელი რჩება და ნინო გოგუაძის მიერ გადაეგზავნა გლდანის რაიონის გამგეობას 2016 წლის პროგრამულ ბიუჯეტში გასათვალისწინებლად.

<u>საბავშვო ბაღებთნ დაკავშირებით:</u> ლუწების მ/რ 38 0000 ამორჩეველია. ტერიტორიაზე მოქმედებს 5 საბავშვო ბაღი და ბაღებში აღსაზრდელთა რიცხვი გადატვირთულია. ოქტომბრის თვეში ნინო გოგუაძე პირადად შეხვდა მოქმედი ბაღების გამგეებს, მოინახულა ბაღების ინფრასტრუქტურული გამართულობა. შეხვედრების შედეგად, ბაღის გამგეებთან ერთად დაიგეგმა რამდენიმე საინტერესო ინიციატივა მომავალი

წლისთვის, რომელიც ბაღის აღმზრდელების გადამზადებისა და ბაღების ეზოების მოწყობას უკავშირდება.

ბაღების არასაკმარისი რაოდენობის გამო ნინო გოგუაძემ შეხვედრა გამართა გლდანის გამგებელთან. ადგილობრივი გამგეობა ასევე ხედავს ახალი ბაღის აშენების საჭიროებას და მაჟორიტართან ერთად ახალი ბაღის მშენებლობის გეგმა მომავალი წლის ბიუჯეტის ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება.

<u>ბუნებრივი აირით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.</u> ნინო გოგუაძეს ოფიციალური განცხადებით მიმართა გლდანის მე-8 მ/რ-ში თეთრი ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებმა 100 მოქალაქემ. მოსახლეობამ მაჟორიტარს გაზის მილსადენის გაყვანაში დახმარების გაწევა სთხოვა. საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დასახლებამდე მისაყვანია ბუნებრივი აირის ცენტრალური მილი, რათა შემდეგ მოსახლეობამ შეძლოს ცენტრალური მილიდან სახლამდე გაზის შეყვანა. მაჟორიტარი წევრი ნინო გოგუაძე შეხვდა აქ მცხოვრებ მოსახლეობას, დეტალურად შეისწავლა აღნიშნული საკითხი. გამოითხოვა ინფორმაცია კომპანია ყაზტ ტრანს გაზიდან, შესაბამისი პროექტითა და ხარჯთაღრიცხვით. შესწავლილი საკითხი თანდართული დოკუმენტებით წარუდგინა გლდანის გამგებელს შესასრულებლად. გლდანის გამგეობის ხელმძღვანელმა პირმა ასევე

გაიზიარა მოსახლეობის დაყენებული საკითხის მნიშვნელობა და მომავალი წლის ბიუჯეტისთვის დაიგეგმა ამ სამუშაოების დაფინანსება და შესრულება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

<u>გენდერული საბჭოში მუშაობასთან დაკავშირებით.</u> ნინო გოგუაძე სისტემატიურად თანამშრომლობს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით. მიმდინარე წელს, გენდერულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა ინიციატივით მიმართეს საკრებულოს წევრებს საკრებულოში გენდერული საბჭოს შექმნის თაობაზე. ნინო გოგუაძემ საკრებულოს სხვა წევრებთან ერთად, შეხვედრა გამართა ორგანიზაციის წარმოამდგენლებთან, სადაც განხილული იქნა საკთხები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გენდერული პოლიტიკის გატარების საკითხებზე, ასევე საქართველოს მასშტაბით, სხვადასვა საკრებულოებს შორის გენდერულ საკითხებზე თანამშომლობის შესაძლებლობებზე და სხვა. აღნიშნული შეხვედრა, რომელიც 2015 წლის 27 ოქტომბერს თბილისის საკრებულოში გაიმართა, მომავალი წლის პერსპექტივებსაც შეეხო. ნინო გოგუაძის ინიციატივით დაიგეგმა მომდევნო შეხვედრა უახლოეს პერიოდში

რომელიც საკრებულოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარებას შეეხება.

ნინო გოგუძაის ინიციატივით, ოქტომბრის თვეში შეხვედრა შედგა გლდანის რაიონის მაჟორიტარებსა და გლდანის გამგებელს შორის. შეხვედრაზე განხილული იქნა მომავალი წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები. ნინო გოგუაძემ გლდანის გამგებელს წარუდგინა წერილობითი რეკომენდაციები 2016 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტებთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტი თან ერთვის ანგარიშს.

2016 წლის ბიუჯეტში გასათვალსიწინებელი საკითხები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის ლუწი მ/რაიონები

დოკუმენტი შედგენილია მაჟორიტარის ბიუროში შემოსული განცხადებების, ასევე ბიუროს მიერ მოსახლეობასთან შეხვედრებისას გამოვლენილი პრობლემატიკის საფუძველზე.

ძირითადი პრობლემატიკა:

- საკანალიზაციო სისტემის გაუმართაობა;
- დაუსრულებელი გაზიფიცირება;
- მოუწყობელი/სარეაბილიტაციო სკვერები და სპორტული მოედნები;
- საბავშვო ბაღების არასაკმარისი რაოდენობა;
- გაუმართავი ინფრასტრუქტურა;
- დასუფთავების საკითხებთან დაკავშირებული პრობლემატიკა;
- სატრანსპორტო პრობლემები.

<u>საკანალიზაციო სისტემა</u>

1. სრულად მოსაწყობია საკანალიზაციო სისტემა: მებაღიშვილის, მაისურაძის, მარჯანიშვილის, ტიხონოვის, მორეტის, ხერგიანის, ზარათაშვილის და გულისაშვილის ქუჩაზე. უბნების სამხრეთ ნაწილში არ არსებობს სასმელი წყლის მილები.
2. იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში შესაცვლელი და გასამართლია კანალიზაციის მილები: „ა“ მ/რ, სასტუმრო ,,მეგობრობა,“ მე-2 მ/რ 45ა კორპუსი, მე-4 მ/რ 93ა კორპუსი, მე-6 მ/რ 110 და 103 ბაგა-ბაღის შენობა, მე-8 მ/რ 81 ბაგა-ბაღი, გმირ კურსანტთა 3 და 5.

<u>გაზიფიცირება</u>

1. მე-8 მ/რ თეთრი ტბის მიმდებარე ტერიტორია. აღნიშნულ დასახლებამდე მისაყვანია ბუნებრივი აირის ცენტრალური მილი, რათა შემდეგ მოსახლეობამ შეძლოს ცენტრალური მილიდან სახლამდე გაზის შეყვანა. საკითხი ეხება 93 ოჯახს.

<u>სკვერების და სპორტული მოედნების მოწყობა/რეაბილიტაცია</u>

1. „ა მ/რ 68-69 კორპუსებს შორის ტერიტორია, მოსაწყობია სკვერი;
2. მე-8 მ/რ 3-4-12-27 კორპუსებს შორის ტერიტორია მოსაწყობია სკვერი და სპორტული მოედანი;
3. მე-4 მ/რ 109 და 112 კორპუსებს შორის ტერიტორია, მოსაწყობია სკვერი და სპორტული მოედანი;
4. ყოფილი უშიშროების აკადემიის მიმდებარე ტერიტორია, მოსაწყობია სკვერი და სპორტული მოედანი;
5. მე-4 მ/რ 92-93ა კორპუსის მიმდებარე ტერიტორია, მოსაწყობია სკვერი;
6. მე-6 მ/რ 15-24-27 კორპუსებს შორის არსებული ტერიტორია, მოსაწყობია სკვერი;
7. ქერჩის 6ა- 6ბ, მოსაწყობია სპორტული მოედანი;
8. მე-6 მ/რ მე-20 კორპუსის უკან მდებარე დიდი სკვერის საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას.

<u>საბავშვო ბაღები</u>

ლუწ მ/რაიონებს ემსახურება 5 საბავშვო ბაღი, რომლებშიც ირიცხება აღსაზრდელთა განსაკუთრებულად დიდი რაოდენობა. ამასთან, ბაღები სრულად ვერ აკმაყოფილებელნ მსურველთა მიღებას. ზოგადი წარმოდგენისთვის, სტატისტიკა შემდგენაირია:

1. №1 ლოგოპედიური საბავშვო ბაღი, რომელშიც სწავლობს 735 ბავშვი. ადმინისტრაციის ინფრომაციით, 2015 წლის 1 ოქტომბრის მონაცემებით, ბაღის მიღმა დარჩა 200-მდე აღსაზრდელი;
2. საბავშვო ბაღი - „აისი“, სწავლობს 99 ბავშვი. ბაღს მიღმა დარჩა 20-ზე მეტი აღსაზრდელი;
3. №89-ე საბავშვო ბაღი. სწავლობს 462 ბავშვი, ბაღს მიღმა დარჩა 100-ზე მეტი აღსაზრდელი;
4. №216-ე ბაგა ბაღი. სწავლობს 712 ბავშვი, ბაღს მიღმა დარჩა 10-ზე მეტი აღსაზრდელი;
5. №107-ე ბაგა-ბაღი. სწავლობს 390 ბავშვი, ბაღს მიღმა დარჩა 20-ზე მეტი აღსაზრდელი.

ბაღებში აღსაზრდელთა განსაკუთრებულად დიდი რაოდენობა და ასევე ბაღს მიღმა დარჩენილი აღსაზრდელების რაოდენობა (350-ზე მეტი ბავშვი), აუცილებელს ხდის დამატებითი საბავშვო ბაღების გახსნას. მომავალი წლისთვის, სულ მცირე, 1 საბავშვო ბაღის მშენებლობა რაიონისთვის აუცილებლობას წარმოადგენს. ახალი ბაღის მშენებლობის სავარაუდო ადგილად შემიძლია შემოგთავაზოთ გმირ კურსანტთა ქუჩის დაუსახლებელი ტერიტორია, რომელიც, ჩემი ინფორმაციით, ამჟამად ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებაშია (ვიმეორებ, რომ აღნიშნული ქონების მესაკუთრე დასაზუსტებელია).

<u>ინფრასტრუქტურული სამუშაოები</u>

ასფალტი საფარი:

1. მე-8 მ/რ, მე-12 კორპ.-ის მიმდებარე ტერიტორიაზე;
2. მებაღისშვილის, მორეტის, მარჯანიშვილის, გულისაშვილის, ტიხონოვის, ბარათაშვილის და მაისურაძის ქუჩებზე;
3. მე-4 მ/რ, 97-ე კორპ.-ის მიმდებარე ტერიტორიაზე.

კიბეები შესაკეთებელია:

1. მე-2 მ/რ, 97-ე კორპ.-ის მიმდებარე ტერიტორიაზე;
2. მე-2 მ/რ, 32-ე კორპ.-ის მიმდებარე ტერიტორიაზე;
3. მე-4 მ/რ, №100 სამარშუტო ტაქსის ბოლო გაჩერებასთან;
4. მე-8 მ/რ, 23-ე კორპ.-ის მიმდებარე ტერიტორიაზე.

<u>დასუფთავების პრობლემა</u>

რაიონის უზრუნველყოფა სანაგვე ურნებით, ასევე, ნაგვის გატანის მომსახურების გაუმჯობესება, განსაკუთრებულად შემდეგ ქუჩებზე:

1. მებაღიშვილი, მარჯანიშვილი, ტიხონოვი, ბარათაშვილი, გულისაშვილი, მაისურაძე, მორეტი. აღნიშნულ ქუჩებზე არ არის განთავსებული სანაგვე ურნები, ასევე ქუჩებს არ ემსახურება ნაგვის გამტანი მანქანა.
2. მე-6 მ/რ 25ბ. და 8-15 კორპუსებთან, ასევე გმირ კურსანტთა 3-ში, არ დგას საკმარისი რაოდენობის სანაგვე ურნები.

<u>ტრანსპორტის პრობლემა</u>

1. მეტრო „ახმეტელთან“ განსაკუთრებულად გადატვირთული მოძრაობი გამო, ფეხით მოსიარულეთათვის ქუჩის გადაკვეთა ყოველთვის სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამისთვის, გადასასვლელების შუქნიშნით აღჭურვა, პრიორიტეტულად უნდა იქნას მიჩნეული მომავალი წლის ბიუჯეტის შედგენისას;
2. საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების ადგილებზე განსათავსებელია მგზავრთა გაჩერების ჯიხურები (50-ზე მეტი ჯიხური).
3. სატრანსპორტო კომპანიის მიერ განხორციელებული ცვლილების შემდეგ №111 სამარშუტო ტაქსი აღარ მოძრაობს მებაღიშვილის მარჯანიშვილის, ტიხონოვის ბარათშვილის, მორეტის, გულისაშვილის და მაისურაძის ქუჩებზე. მერიის შესაბამის სამსახურთან თანამშრომლობის გზით, აღნიშნული საკითხი ასევე საჭიროებს გამგეობის მხრიდან ყურედღების მიქცევას.

ამასთან, განსაკუთრებულად მინდა გამოვყო, გლდანში არსებული შ.შ.მ. ბავშვების დღის ცენტრი, რომელიც 17 ბავშვს ემსახურება. ამჟამად, ცენტრი მე-4 მ/რ-ის 113 კორპუსში არის განთავსებული და არ გააჩნია შეაბამისი ფართი ბავშვებისთვის სათანადო პირობების შესაქმნელად. დღის ცენტრის ხელმძღვანემა არაერთგზის ითხოვა გლდანის გამგეობისგან შესაბამისი ფართის მოძიებაში დახმარების გაწევა, რაც დღემდე რეაგირების გარეშე არის დატოვებული. გთხოვთ, მეტი ყურადღება მიაქციოთ აღნიშნულ საკითხს და შეიტანოთ პრიორიტეტულ საკითხთა ნუსხაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის უფროსის
მოადგილე

ქ-ნ თ. გვაზავას

რეფერირებულ შესახებ.

#10/18494;10/18530;10/18500
28.10.2015

აპარატის უფროსის მოადგილე
ე. კაპანაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თაყმჯდომარე

ქ-ნ ე. დუმბაძეს

შესაბამისი რეაგირებისთვის.

ქალაქ თბილისის მერის
მოადგილე გიორგი ალიბეგაშვილი
28.10.15ნ.

№10/18500
28.10.15 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრს

ქალბატონ ნინო გოგუაძეს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრები ვალდებულნი არიან მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. ანგარიში ძირითადად უნდა მოიცავდეს: საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას; საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაციას; ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაციას; ასევე, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას და ა.შ.

გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ ინფორმაცია ამომრჩევლებთან ანგარიშის წარდგენის ადგილის, თარიღისა და სხვა დამატებითი დეტალების შესახებ არაუგვიანეს 20 ოქტომბრისა, რადგან საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს შესაბამისი გრაფიკის შედგენა. საკრებულოს წევრს თავისი სურვილის შესაბამისად უფლება აქვს გამოიყენოს საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა ანგარიშის წარსადგენად. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საჯაროდ ცხადდება საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, წარდგენიდან 10 დღის ვადაში. შესაბამისად, გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ შესაბამისი ანგარიში წარდგენიდან 3 დღის ვადაში წერილობითი სახით.

დანართის სახით გიგზავნით, საკრებულოს წევრის ანგარიშის ნიმუშს.

პატივისცემით,

საკრებულოს აპარატის უფროსი

ელენე დუმბაძე

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატი

№ 10/18500

"12" ოქტომბერი 2015 წ.

ფურცლის რაოდენობა 3 ფურცელი

0105, ოფისისუფლების მოედანი №2

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ----

2015 წლის ანგარიში

- საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაცია

- ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია

- სხვა სახის ინფორმაცია

საკრებულოს წევრი

(სახელი; გვარი) *(ხელმოწერა)*

10/18500
12.10.15

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრს

ქალბატონ ნინო გოგუაძეს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრები ვალდებულნი არიან მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. ანგარიში ძირითადად უნდა მოიცავდეს: საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას; საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაციას; ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაციას; ასევე, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას და ა.შ.

გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ ინფორმაცია ამომრჩევლებთან ანგარიშის წარდგენის ადგილის, თარიღისა და სხვა დამატებითი დეტალების შესახებ არაუგვიანეს 20 ოქტომბრისა, რადგან საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს შესაბამისი გრაფიკის შედგენა. საკრებულოს წევრს თავისი სურვილის შესაბამისად უფლება აქვს გამოიყენოს საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა ანგარიშის წარსადგენად. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საჯაროდ ცხადდება საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, წარდგენიდან 10 დღის ვადაში. შესაბამისად, გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ შესაბამისი ანგარიში წარდგენიდან 3 დღის ვადაში წერილობითი სახით.

დანართის სახით გიგზავნით, საკრებულოს წევრის ანგარიშის ნიმუშს.

პატივისცემით,

საკრებულოს აპარატის უფროსი ელენე დუმბაძე

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ----

2015 წლის ანგარიში

- საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაცია

- ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია

- სხვა სახის ინფორმაცია

საკრებულოს წევრი

(სახელი; გვარი) *(ხელმოწერა)*